სანოტარო აქტი

ორიათასჩვიდმეტი წლის ხუთ იანვარს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის №7, მომმართა სს **„თიბისი ბანკის"** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს **„თიბისი ბანკის"** შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17000365, 04/01/2017 12:43:19) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღაძაძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **პაატა ღაძაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №78, კორ. №3, ბ. №10, ბ/ნ №01023000307, ბარათის № 12IB54317,გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 08.10.2012) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგ მან ნების თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორიათასჩვიდმეტი წლის ხუთ იანვარს სს **„თიბისი ბანკის"** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს **„თიბისი ბანკის"** შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17000365, 04/01/2017 12:43:19) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღაძაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №78, კორ. №3, ბ. №10, ბ/ნ №01023000307, ბარათის № 12IB54317,გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 08.10.2012) **გრიგოლ კაციას** (პ/ნ 01017005270), შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. **გრიგოლ კაცია** უფლებამოსილია **სს „თიბისი ბანკი"-ს** სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს "თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;
2. ამ მინდობილობით **გრიგოლ კაციას** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასჩვიდმეტი წლის ხუთი იანვრიდან ორიათასჩვიდმეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

პაატა ღაძაძე:

საზღაური: 10.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით

სათავო ოფისი
HEAD OFFICE

463/109-42

19 აპრილი 2017 წ.

ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“, როგორც იპოთეკარი, თანახმაა განხორციელდეს შპს „ნეოგაზი“-ის (ს/კ: 405037213) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულ შენობა-ნაგებობებზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება ფართის ცვლილებით, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთზე განთავსებული ავტოგაზგასამართი შენობების ფართი გაიზრდება 17,2 კვ.მ-ით. ამასთან, იმ პირობით, რომ სს „თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ არსებული უფლება/ები სრულად შენარჩუნდება და ასევე გავრცელდება გაზრდილ ფართზეც.

უძრავი ქონების მონაცემებია: საკადასტრო კოდი # 01.19.36.014.008, მისამართი: ქ.თბილისი, ჯავახეთის ქუჩაზე, ვარკეთილის 3-ის საცხოვრებელი რაიონის III მ/რ-ის მოპირდაპირედ.

პატივისცემით,

სს 'თიბისი ბანკი'ს წარმომადგენელი

გრიგოლ კაცია

საქართველო, 0102 თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. №7

7 Marjanishvili St.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge